საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიანი ზურაბ ვლადიმერის ძე

კახიანი ზურაბ ვლადიმერის ძე (10. II. 1929, ქუთაისი, – 6. VII. 2010, თბილისი), მსახიობი, რეჟისორი, ლიბრეტისტი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1955 დაამთავრა თბილ. თეატრ. ინ-ტი (პედ. დ. ალექსიძე). იმავე წლიდან მუშაობდა თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრში. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: გია, კარაპეტა, ბარუხა (შ. მილორავას „სიმღერა თბილისზე", „ძუნწი", „პაემანი ცაში"), ივანიკა (ვ. კურტიდის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", რ. ერისთავის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით), კუკური (გ. ცაბაძის „შესანიშნავი სამეული"), დულიტლი (ფ. ლოუს „ჩემი მშვენიერი ლედი"), ველი სულეიმანი (უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან"), ოთარი (ვ. აზარაშვილის „შვიდნი ძმანი გურჯანელნი"), მეირო (გ. ჩლაიძის „ო, ადონაი") და სხვ. 1965-იდან მისი რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლები: ს. ნასიძის „სტუდენტები", ა. ივანოვის „ჩემი სიდედრი" და „მხიარული მელოდიები", მ. ჩირინაშვილის „ძველი თბილისის სურათები", შ. მილორავას „მე-13 შეხვედრა" (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიასი), დ. ტურიაშვილის „პეპი გრძელი წინდა"(ლიბრეტო ზ. კახიანისა) და სხვ. მისი ლიბრეტოებით დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია „მოვდივართ და მოვიმღერით" (საბავშვო სპექტაკლი-კონცერტი), „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო" (კომპ. შ. მილორავა). კ-ის შემოქმედებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართულ სცენაზე მუსიკალური კომედიის, როგორც ჟანრის დამკვიდრებას.